საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/191

ქ. ბათუმი 03 **აგვისტო, 2022 წ.**

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-10 მუხლის, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 29 ივლისის № 1.1/74 ბრძანების, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი განათლების პროექტის მართვის მენეჯერის წერილის (MES92200001.1/74 29/07/2022 წ.), 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/56 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **შიდა მობილობის ვადები** (ბსუ-ს სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების და ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთათვის):

ა) განცხადებებისა და დოკუმენტაციის მიღება - 2022 წლის 15 აგვისტოდან 19 აგვისტოს (18:00 სთ-მდე) ჩათვლით (მიიღება ელექტრონულად, ბსუ-ს პორტალის- portal.bsu.edu.ge-ს მეშვეობით);

ბ) მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების ბსუ-ს ფაკულტეტის მიერ აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) - 2022 წლის 22 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადებების, ასევე ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის **მატერიალური სახით (კანონმდებლობით დამოწმებული ასლების) მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება** - 2022 წლის 29, 30 და 31 აგვისტოს (18:00 სთ. მდე). დოკუმენტაციის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების ადგილის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამის ველში.

დ) ბსუ-ში შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემა - **2022 წლის 8 სექტემბერი.**

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ***ბსუ-ში შიდა მობილობის*** გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მომზადება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა (web@bsu.edu.ge) ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ფეისბუკგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

3. ბსუ-ს ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყონ ბსუ-ში შიდა მობილობის პროცესის საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად წარმართვა.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**